სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ზურაბ ბუცხრიკიძე

„11“ 06 2013 წელი

ეგზ. 2

ქ.თბილისის მერიის მიერ გარე განათების პროგრამის ფარგლებში

2006 - 2010 წლებში გამოყენებული სახსრების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში 01/24/00

2013

შინაარსი

შესავალი 3

აუდიტის ძირითადი მიზანი 3

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა 3

აუდიტორის პასუხისმგებლობა 3

1. ქ.თბილისის გარე განათების არსებული მდგომარეობის ზოგადი აღწერა 4

1.1. ქ. თბილისის მერიის მიერ გარე განათების მიზნის მიღწევისათვის განხორციელებული საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა 5

2. გარე განათების ღონისძიებების დაგეგმვა და ფინანსური უზრუნველყოფა 6

2.1. ქ. თბილისის გარე განათების პროგრამის ბიუჯეტი 8

2.2. ფინანსური სახსრების მართვა 10

3. შესყიდვების სტატისტიკა 11

4. შესყიდვების შესწავლის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებები 12

4.1 გარე განათების ქსელის აღდგენა-რეკონსტრუქცია 12

4.2 სანათების შესყიდვა 13

4.3. გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და ტექნიკური მომსახურება 18

5. მატერიალური მარაგები 22

6. ქ.თბილისის გარე განათების ტექნიკური მხარე 22

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი 24

შესავალი

აუდიტის ძირითადი მიზანი

აუდიტის ძირითად მიზნებს წარმოადგენს:

ა) ქ.თბილისის მერიის მიერ გარე განათებასთან დაკავშირებული ფინანსური სახსრების მართვისა და ხარჯვის, კანონიერებასა და მიზნობრიობაზე დასაბუთებული რწმუნების მოპოვება;

ბ) გარე განათების პროგრამის ფარგლებში ფინანსური და სხვა რესურსების გამოყენების, და მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილებების ეკონომიურობისა და პროდუქტიულობის შეფასება;

გ) გარე განათების ქსელში არსებული განათების ხარისხის შესწავლა და არსებული მდგომარეობის შედარებითი შეფასება უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა ორგანიზაციაში დანერგილი შიდა კონტროლის სისტემის იმდაგვარი ზედამხედველობა, რომ ქ. თბილისის გარე განათების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ძირითადი საქმიანობა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს. აგრეთვე ხელმძღვანელი პასუხისმგებელია საქმიანობის ეკონომიურად და პროდუქტიულად განხორციელებაზე. გარდა ამისა, ხელმძღვანელი პასუხისმგებელია აუდიტორებისთვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი აუდიტის საფუძველზე გამოთქვამს მოსაზრებას, თუ რამდენად შეესაბამება აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობა მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს, ასევე რამდენად ეკონომიურად და პროდუქტიულად არის განხორციელებული ფინანსური სახსრების ხარჯვა. აუდიტი ჩატარებულია უმაღლესი

აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) მიხედვით და აუდიტორების მიერ დაცული იქნა ყველა ის ეთიკური მოთხოვნა, რასაც ითვალისწინებს აღნიშნული საერთაშორისო სტანდარტები, საქართველოს კანონმდებლობა და სხვა მარეგულირებელი ნორმები.

პროფესიული განსჯის საფუძველზე აუდიტორი არჩევს პროცედურებს, რაც მისი მოსაზრებით, საჭიროა აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად და აუდიტის ობიექტის საქმიანობაში არსებული უზუსტობებისა და რისკების შესაფასებლად, რომელიც თავის მხრივ გამოწვეულია განზრახ არამართლზომიერი ქმედებით ან შეცდომით.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები წარმოადგენს საკმარის და შესაფერის საფუძველს აუდიტორული დასკვნების გასაკეთებლად.

1. ქ.თბილისის გარე განათების არსებული მდგომარეობის ზოგადი აღწერა

გარე განათების ძირითადი მიზანი

„განათების საერთაშორისო კომისიის“ (CIE)[1] მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით განსაზღვრულია გარე განათების შემდეგი ძირითადი მიზნები:

- *ვიზუალური ეფექტი* - ღამის საათებში განათებული გარემო უფრო უკეთ გამოიყურება;
- *უსაფრთხოება* - ავტომანქანების, მოტოციკლეტების, ველოსიპედების და სხვა ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობა; ფეხით მოსიარულეებს საშუალება ეძლევათ დაინახონ საფრთხე, მოახდინონ ორიენტაცია, იცნონ სხვა გამვლელები და უსაფრთხოდ იგრძნონ თავი.

[1] "CIE" (განათების საერთაშორისო კომისია) წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც მისი წევრი ქვეყნების გარე განათების სფეროში მიღებული გამოცდილების და პრაქტიკის საფუძველზე, იმუშავებს რეკომენდაციებს. რეკომენდაციები განკუთვნილია წევრი ქვეყნებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის. ორგანიზაციის წევრი ქვეყნებია: აშშ, გერმანია ,დანია, საფრანგეთი, კანადა, შვეიცარია, ბელგია და.ა.შ

1.1. ქ. თბილისის მერიის მიერ გარე განათების მიზნის მიღწევისათვის განხორციელებული საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა

ქ. თბილისის მერია გარე განათების მიზნების მისაღწევად ახორციელებს ცენტრალური და შიდაკვარტალური ქუჩების, სკვერების განათებას, ქალაქის ღირსშესანიშნაობათა მხატვრულ მინათებას და გარე განათების ქსელის აღდგენა-რეკონსტრუქციას.

2006-2010 წლებში ქ.თბილისის მერიის მიერ მიზნის მიღწევისთვის სულ დაიხარჯა 105.3 მილიონი ლარი (მათ შორის, 7.1 მილიონი ლარი - საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან). აქედან, 38.3 მილიონი ლარი დაიხარჯა გარე განათების ქსელის აღდგენა-რეკონსტრუქციაზე, 19.8 მილიონი ლარი - საქონლის (სანათები) შესყიდვაზე და 47.2 მილიონი ლარი - ექსპლოატაციასა და ტექნიკურ მომსახურებაზე.

2006-2010 წლებში გარე განათებაზე გაწეული ხარჯის განაწილება კატეგორიების მიხედვით



2006 წლიდან დაიწყო მნიშვნელოვანი სამუშაოები თბილისის გარე განათების ქსელის მოწესრიგებასთან დაკავშირებით. მოხდა როგორც არსებული სანათი წერტილების განახლება, ასევე გაუნათებელ ქუჩებზე გარე განათების ახალი ბოძებისა და სანათების დადგმა და მთლიან სისტემაში ჩართვა. 2010 წლისათვის სანათი წერტილების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და თითქმის მთელი ქალაქი მოიცვა.

სამუშაოების ჩატარების მთავარი მიზანი, მომხდარიყო მთელი ქალაქის განათება, გაზრდილიყო განათების ხარისხი და უსაფრთხო გამხდარიყო ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთათვის ღამის საათებში ქალაქში გადაადგილება, მცირეოდენი ხარვეზების გათვალისწინებით პრაქტიკულად მიღწეული იქნა.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების დიდი ქალაქების მსგავსად, განხორციელდა შენობების ფასადების, არქიტექტურული ძეგლების და სხვა ღირსშესანიშნაობების მხატვრული მინათება. ქ. თბილისის მერიის მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგად დედაქალაქი ღამის საათებში უფრო მეტად სანახაობრივი გახდა. ყოველივე ეს ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურისტების კმაყოფილებას იწვევს და დედაქალაქს, როგორც მნიშვნელოვან ტურისტულ ადგილს, დამატებით ღირებულებას სძენს.

2006-2010 წლებში განხორციელებული საქმიანობის შედეგად გარე განათების ქსელის მოცულობაში მომხდარი ცვლილებების თაობაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა ქვემოთ მოცემული ცხრილი:

გარე განათების მდგომარეობა 2006 და 2010 წლებში:

დასახელება	01.01.2006	31.12.2010
ექსპლოატაციაში მყოფი სანათი წერტილების რაოდენობა	28,225	109,711
განათებული ქუჩების სიგრძე (კმ) სულ	1,299	2,703
საავტომობილო გზა (კმ)	470.8 (36.2%)	462.8 (17.1%)
მიმდებარე ქუჩები (კმ)	749.1 (57.7%)	2,083.7 (77.1%)
ქუჩების სხვა სახეობები (კმ)	79.1 (6.1%)	156.5 (5.8%)
მხატვრულად განათებული ობიექტები სულ	120	264
ეკლესია -მონასტრები	18	60
ძეგლი	46	61
შენობა- ნაგებობა და სხვა	56	143
განათებული სპორტული მოედნები		187
სატელევიზიო ანძის განათება		1

2. გარე განათების ღონისძიებების დაგეგმვა და ფინანსური უზრუნველყოფა

ქ. თბილისის გარე განათების სისტემის მართვა წინასწარ შემუშავებულ, ქსელის განვითარების გრძელ ან საშუალოვადიან პროგრამებსა და პროექტებს არ ეფუძნება.

მერიის მხრიდან გარე განათების სამუშაოების გრძელვადიანი ან საშუალოვადიანი დაგეგმვა საერთოდ არ ხორციელდება და აქცენტი ძირითადად გადატანილია მოკლევადიანი, ერთჯერადი ღონისძიებების განხორციელებაზე.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ნაჩვენებია, 2006–2010 წლების მიხედვით, წლის განმავლობაში რეკონსტრუირებული და მოწყობილი სანათი წერტილების რაოდენობა კვარტლების მიხედვით:

რეკონსტრუირებული სანათი წერტილები კვარტლების მიხედვით										
	2006 წელი		2007 წელი		2008 წელი		2009 წელი		2010 წელი	
	სანათი წერტილი	%	სანათი წერტილი	%	სანათი წერტილი	%	სანათი წერტილი	%	სანათი წერტილი	%
I კვ.	1,292	5%	4,714	26%	58	0%	-	0%	8,619	76%
II კვ.	7,632	30%	1,582	9%	17,382	86%	110	6%	2,759	24%
III კვ.	6,684	27%	3,821	21%	2,660	13%	251	14%	-	0%
IV კვ.	9,559	38%	7,841	44%	133	1%	1,432	80%	-	0%
სულ	**25,167**	**100%**	**17,958**	**100%**	**20,233**	**100%**	**1,793**	**100%**	**11,378**	**100%**

ქ.თბილისის გარე განათების ღონისძიებების შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფა ძირითადად ქ.თბილისის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხორციელდება. მხოლოდ ერთ შემთხვევაში მოხდა საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან სატელევიზიო ანძის განათებისთვის საჭირო ღონისძიებების დაფინანსება 7.1 მილიონი ლარით.

ქ.თბილისის გარე განათებისთვის წლის დასაწყისში დამტკიცებული ასიგნებები უკვე განსაზღვრულ, დაგეგმილ გარე განათების ღონისძიებებს და პროგრამებს არ ეფუძნება. მერია კონკრეტული ღონისძიებისა და პროგრამის შესახებ გადაწყვეტილებას წლის განმავლობაში იღებს. იმ შემთხვევაში, როცა დამტკიცებული ასიგნებები საკმარისი არ არის, კვარტლის მიხედვით ხდება ბიუჯეტის დაზუსტება[2] და გამოყოფილი ასიგნების მნიშვნელოვანი ზრდა.

[2] ერთ შემთხვევაში 2008 წლის პირველ კვარტალში გამოყოფილი იყო 2.1 მილიონი ლარის ასიგნება და გაიწია 3.36 მილიონი ლარის ხარჯი.

ქ.თბილისის გარე განათების ბიუჯეტი 2006-2010 წლებში:

წელი	დამტკიცებული ასიგნება	დაზუსტებული ასიგნება	საკასო ხარჯი	ცვლილება
2006	13,000,000	27,735,000	27,678,934	112.91%
2007	15,200,000	26,436,000	24,032,946	58.11%
2008	19,000,000	23,300,000	22,636,562	19.14%
2009	13,700,000	14,471,656	14,394,387	5.07%
2010	21,265,100	16,575,000	16,575,000	-22.06%
სულ	**82,165,100**	**108,517,656**	**105,317,829**	**28.18%**

2.1. ქ. თბილისის გარე განათების პროგრამის ბიუჯეტი

2006 წლიდან ქ.თბილისის მერიის მიერ ხორციელდება გარე განათების პროგრამის ბიუჯეტის შემუშავება. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა ზოგადი ხასიათისაა და სრულყოფილ ინფორმაციას არ იძლევა განსახორციელებელი საქმიანობის მიზნობრიობის და გამოყოფილი ასიგნებების დასაბუთებულობის შესახებ.

საკრებულოს მიერ დამტკიცებული[3] გარე განათების პროგრამის ბიუჯეტის ფორმა ითვალისწინებს ინფორმაციის განსაზღვრას და შევსებას სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით. პროგრამის მიხედვით განსაზღვრული უნდა იყოს სამოქმედო გეგმა, დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით. წლის განმავლობაში განსახორცილებელი ღონისძიებები ჩაშლილი უნდა იყოს ყოველ თვეში შესასრულებელი სამუშაოების მიხედვით. ღონისძიებები ჩაშლილი უნდა იქნეს როგორც თვეების, ასევე განსახორცილებელი საქმიანობის კატეგორიების მიხედვით, შემდეგი დაყოფის შესაბამისად:

1. ქუჩების განათება;

2. ღირსშესანიშნაობათა მხატვრული მინათება ;

3. გარე განათების ქსელის აღდგენა- რეკონსტრუქცია.

[3] ქ.თბილისის საკრებულოს 2004 წლის 18 მარტის N 4-1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქ.თბილისის ბიუჯეტის მიზნობრივი პროგრამის(ქვეპროგრამის) ფორმა

ასევე ფორმა ითვალისწინებს მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების ერთმანეთისგან გამიჯვნას ცალკეული ღონისძიებების მიხედვით. თუმცა, მონაცემები არ არის შევსებული და შესაბამისად ვერც მტკიცებულებები მოვიპოვეთ საკრებულოს მოთხოვნის შესაბამისად სამუშაოების დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ. შევსებულია ისეთი ზოგადი მონაცემი, როგორიცაა მთლიანად გარე განათებაზე დამტკიცებული ასიგნება. უნდა აღინიშნოს, რომ ასიგნებების შემთხვევაშიც ადგილი აქვს უზუსტობებს. კერძოდ, პროგრამაში ასახული კვარტლების მიხედვით დამტკიცებული ასიგნებები არ ემთხვევა ქ.თბილისის მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ხარჯების კვარტალურ გადანაწილებას.

ქ.თბილისის გარე განათების პროგრამის ბიუჯეტის მიხედვით განსაზღვრული ამოცანებისა და წარმატების შეფასების ინდიკატორებზე წარმოდგენას იძლევა ქვემოთ მოცემული ცხრილი:

ქ.თბილისის გარე განათების პროგრამის ამოცანები და მათი წარმატების შეფასების ინდიკატორები:

N	პროგრამის ამოცანები	ამოცანის პრიორიტეტულობა	ამოცანის წარმატების შეფასების ინდიკატორები
1	გარე განათება	60%	მოხმარებული სიმძლავრეების და ექსპლოატაციის ხარჯების შემცირების გზით გარე განათბის ხანგრძლივობის გაზრდა
2	მხატვრული მინათება	5%	ობიექტის მინათების მხატვრული ეფექტი
3	ქსელის აღდგენა-რეკონსტრუქცია	30%	სამუშაოების სწორი ორგანიზაცია საპროექტო და საექსპლოატაციო-ტექნიკური პირობების დაცვა
4	გაუთვალისწინებელი	5%	ფორსმაჟორული დავალების ოპერაციის შესრულება

აუდიტის შედეგად დადგინდა, რომ ქ.თბილისის მერიის მიერ არ მომხდარა და არ ხდება გარე განათების დამტკიცებული პროგრამის შესრულების შეფასება. ასევე იმის განსაზღვრა, რეალურად მოხდა თუ არა პროგრამის შესრულება, გამოვლენილი ხარვეზების ანალიზი, შეფასება და ამის საფუძველზე მომავალი წლის პროგრამის

შედგენა. ყოველი წლის პროგრამა წინა წლის პროგრამის იდენტურია და მასში მხოლოდ რამდენიმე რიცხობრივი მონაცემია შეცვლილი.

2.2. ფინანსური სახსრების მართვა

ქ.თბილისის მერიის მიერ ფინანსური სახსრების მართვა გარკვეული ხარვეზებით ხასიათდება. წლიური საბიუჯეტო კანონის შესაბამისად გარე განათებაზე განსაზღრული ასიგნებების კვარტალური გადანაწილება ფორმალურ ხასიათს ატარებს.

ქ.თბილისის გარე განათების ასიგნებები 2006-2010 წლებში

	2006 წ		2007 წ		2008 წ		2009 წ		2010 წ	
	დაზუსტებული ასიგნება	საკასო ხარჯი	დაზუსტებული ასიგნება	საკასო ხარჯი	დაზუსტებული ასიგნება	საკასო ხარჯი	დაზუსტებული ასიგნება	საკასო ხარჯი	დაზუსტებული ასიგნება	საკასო ხარჯი
I კვ	6,100,000	5,781,903	3,000,000	2,243,537	3,360,000	3,357,270	2,384,000	1,971,577	5,300,000	4,089,705
II კვ	5,800,000	5,936,400	7,000,000	6,177,342	10,740,000	10,740,268	4,425,000	2,535,110	6,333,880	5,091,329
III კვ	7,475,000	7,621,358	8,300,000	4,213,780	5,880,000	3,772,217	3,580,000	3,150,762	4,482,404	2,912,022
IV კვ	8,360,000	8,339,273	8,136,000	11,398,287	3,320,000	4,766,807	4,082,655	6,736,938	458,716	4,481,944
სულ	27,735,000	27,678,934	26,436,000	24,032,946	23,300,000	22,636,562	14,471,656	14,394,387	16,575,000	16,575,000

დაზუსტებული ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ფორმალურობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ არც ერთ შემთხვევაში დაზუსტებული კვარტალური ასიგნება და საკასო ხარჯი ერთმანეთს არ ემთხვევა. ძირითადად საკასო ხარჯი გაწეულია მიმდინარე კვარტლის დაზუსტებული ასიგნებების და წინა კვარტლების აუთვისებელი ასიგნებების ფარგლებში. 2010 წელს ასიგნებების კვარტალური გადანაწილებისა და მასში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, მერიას უფლება ჰქონდა მე-4 კვარტალში მხოლოდ 458 ათასი ლარის ხარჯი გაეწია. მიუხედავად ამისა, გაწული იქნა 4.48 მილიონი ლარის ხარჯი (ხარჯი გაწეული იქნა წინა კვარტლების აუთვისებელი დაზუსტებული ასიგნებების საშუალებით). მსგავს სიტუაციებს ადგილი

აქვს სისტემატურად. ყოველივე ეს ხელს უშლის ფინანსური სახსრების ეფექტიან მართვას.

შესაბამისი საქალაქო სამსახური არ ახდენს მისი კუთვნილი ასიგნების სწორად დაგემვას და ათვისებას, რის გამოც, აუთვისებელი ასიგნებები რამდენიმე მილიონ ლარს აღემატება. ანუ, რეალურად მერიას გააჩნია თავისუფალი ფულადი სახსრები, თუმცა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური არ ფლობს ინფორმაციას თავისუფალი სახსრების შესაძლო არსებობის შესახებ, რადგან მას არ აქვს ინფორმაცია, დაზუსტებული ასიგნებიდან რა თანხას გამოიყენებს შესაბამისი საქალაქო სამსახური.

3. შესყიდვების სტატისტიკა

ქ.თბილისის გარე განათების სისტემის ფუნქციონირებისთვის საჭირო საქონლისა და მომსახურების შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. შესყიდვების უმრავლესობა ტენდერის საშუალებით ხორციელდება, თუმცა, ზოგ შემთხვევებში ადგილი აქვს ფასთა კოტირების და ერთ პირთან მოლაპარაკების გზით შესყიდვებსაც.

შესყიდვების სტატისტიკა 2006-2010 წლებში:

დასახელება	სახელშეკრულებო თანხა	ლოტების რაოდენობა	კონკურენცია არ იყო
გარე განეთების ქსელის მოწყობა, რეკონსტრუქცია	42,100,420	234	52
სპორტული მოედნების განათების ქსელის მოწყობა	470,759	204	204
მხატვრული მინათების მოწყობა	3,657,519	70	56
სანათების შესყიდვა[4]	14,607,900	29	10
ექსპლოატაცია	47,681,058	8	8

[4] სატელევიზიო ანძისთვის შეძენილი 5.2 მილიონი ლარის სანათები დაჯამებულია გარე განათების ქსელის მოწყობა-რეკონსტრუქციაში

4. შესყიდვების შესწავლის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებები

4.1 გარე განათების ქსელის აღდგენა-რეკონსტრუქცია

ქ.თბილისის გარე განათების ქსელის მოწყობის, აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოს შესყიდვა ძირითადად ხდება ტენდერის საშუალებით. 2006-2010 წლებში სულ აღნიშნულ სამუშაოებზე დახარჯულია 38.3 მილიონი ლარი. მთელი ქალაქის მასშტაბით მოეწყო და აღდგენა-რეკონსტრუქცია ჩაუტარდა 75.5 ათას სანათ წერტილს.

470 ათასი ლარი დაიხარჯა 187 სპორტული მოედნის გარე განათების სისტემის მოწყობისთვის. სპორტული მოედნების განათების სამუშაოს ძირითადი მომწოდებელია შპს „დელუქსი 777“.

გარე განათების ქსელის მოწყობასა და აღდგენა-რეკონსტრუქციაზე სამუშაოების ძირითადი მომწოდებლები წარმოდგენილია ცხრილში.

გარე განათების ქსელის რეკონსტრუქციის ძირითადი მომწოდებლები

დასახელება	თანხა (ათას ლარებში)
შპს "თბილქალაქგანათება"	16,638
ს.ს "ერის იმედი"	3,609
შპს "აბგ და კომპანია"	3,468
შპს "დელუქსი 777"	3,000
შპს "ოპტიმუმი"	1,504
შპს "მნათობი"	1,499
შპს "ჯი-ემ-ჯი"; შპს "ჯეამბერგრუპი"; შპს "ინსეტსგრუპი"	1,362
შპს "სანი"	502

ქ.თბილისის მერია გარე განათების ქსელის 1 სანათი წერტილის მოწყობა-რეკონსტრუქციაზე იხდის 400-დან 1,000-მდე ლარს, სხვადასხვა მომწოდებლების მიხედვით. აუდიტის შედეგად დადგინდა, რომ 1 სანათი წერტილის რეკონსტრუქციისათვის[5] საშუალოდ საჭიროა 378 ლარი[6]. სწორედ აღნიშნული თანხა უჯდებოდა საშუალოდ მერიის მიმწოდებელ შპს „თბილქალაქგანათება"-ს 2006-2010 წლებში 1 სანათი წერტილის რეკონსტრუქცია (უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული თანხის გაანგარიშებაში შედის ზედნადები ხარჯი 10% და მოგება 20%, ხოლო ყველა მიმწოდებელს, მათ შორის შპს „თბილქალაქგანათება"-ს, ოფიციალურად მოგება და ზედნადები ხარჯი დაფიქსირებული აქვთ 6%–დან 10%–ის ფარგლებში). ქ.თბილისის მერიის მიერ არ ხდება შესასყიდი სამუშაოებისათვის საჭირო ფინანსური რესურსების სავარაუდო ღირებულების სათანადოდ განსაზღვრა. ტენდერზე კონკურენცია არ არის, რის გამოც ლოტზე ერთადერთი პრეტენდენტი უალტერნატივო მომწოდებელს წარმოადგენს. შესყიდვის სავარაუდო ღირებულების არასათანადოდ განსაზღვრის გამო, მერია სანათების რეკონსტრუქციაში საბაზრო ღირებულებაზე მეტ თანხას იხდის.

2006-2010 წლებში მერიის მიერ გარე განათების ქსელის მოწყობისათვის მომწოდებლებისათვის გადახდილ თანხას და სამუშაოების რეალურ ღირებულებას შორის სხვაობამ დაახლოებით 4.6 მილიონ ლარს გადააჭარბა (4.6 მილიონი ლარი წარმოადგენს სხვაობას მერიის მიერ სანათების რეკონტრუქციაში გადახდილ თანხასა და 378 ლარად 1 სანათი წერტილის რეკონტრუქციის შემთხვევაში გადასახდელ თანხას შორის). სწორედ აღნიშნული თანხის ზენორმატიული სარგებელი მიიღეს სამუშაოების მომწოდებლებმა.

4.2 სანათების შესყიდვა

ქ.თბილისის მერიის მიერ გარე განათებისათვის საჭირო საქონლის (სანათები) შესყიდვისათვის 2006-2010 წლებში დაიხარჯა 19.8 მილიონი ლარი. სანათების შესყიდვა ძირითადად ხდება ტენდერის საშუალებით. შესყიდვის დიდი მოცულობიდან

[5] ბოძის ღირებულების გარეშე

[6] 378 ლარში შედის ყველა გადასახადი და ასევე 20 % მოგება და 10 % ზედნადები ხარჯი

გამომდინარე, კანონმდებლობის შესაბამისად, ყველა შესყიდვაზე უნდა გამოცხადებულიყო საერთაშორისო ტენდერი.

სანათების შესყიდვისას სრულყოფილი საერთაშორისო ტენდერი ჩატარდა 2006 წელს, სადაც მონაწილეობა მიიღო უშუალოდ მწარმოებელმა, „კომელეკი შრედერის ჯგუფმა“ [7] და ტენდერში გამარჯვების შემდეგ მერიას მიაწოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანათები.

სანათების შესყიდვის სხვა შემთხვევებში არ მომხდარა საერთაშორისო ტენდერის გამოცხადება [8] და პრედენდენტები/მომწოდებლები ძირითადად საქართველოს რეზიდენტი ფირმები არიან, რომლებიც ახორციელებენ საქონლის იმპორტს. როგორც აუდიტის შედეგად დადგინდა, მომწოდებლები საქონლის შესყიდვას ძირითადად ახორციელებენ მერიის ყოფილი მომწოდებელი „კომელეკი შრედერის ჯგუფი“–სგან და 25-40% ფასნამატით აწვდიან აუდიტის ობიექტს. მომწოდებლების მიერ გადახდილ სანათების საბაჟო ღირებულებასა და მერიის მიერ მომწოდებლებისათვის გადახდილ თანხას შორის სხვაობამ **2.38 მილიონ ლარს** გადააჭარბა.

2006-2010 წლებში ქ.თბილისის მერიისთვის სანათების მომწოდებლების მიერ, ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენამდე შესყიდულია 17,135 სანათი, საერთო თანხით 3.2 მილიონი ლარი. ყველა შემთხვევაში ტენდერში მონაწილეობას იღებდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი და ასევე ყველა შესყიდვისას, მომწოდებელს სანათები წინასწარ აქვს შესყიდული.

---

[7] „schreder group" თანამედროვე განათების ტექნოლოგიების უმსხვილესი მწარმოებელია მსოფლიოში. კორპორაციას გააჩნია საწარმოები მსოფლიოს 39 ქვეყანაში. Comelec წარმოადგენს „schreder group“ შემავალ ერთ-ერთ კომპანიას, რომელიც განათების ტექნოლოგიების მიწოდებას ახორციელებს 50 ზე მეტ ქვეყანაში, სადაც „შრედერი ჯგუფს“ ქარხანა არ გააჩნია. იხ. www.schreder.com

[8] „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე 12 მუხლის (2006-2010 წლებში მოქმედი) შესაბამისად თუ შესასყიდი საქონლის ღირებულება აღემატება 600 ათას ლარს ტენდერის ჩატარების შესახებ განხადება ქვეყნდება „ვაჭრობის საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულ ერთ-ერთ ენაზე, უცხო ქვეყნის იმ პერიოდულ ან სპეციალიზებულ გამოცემებში, რომლებიც ფართოდ ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით, და ამ განცხადებას უგზავნის საქართველოში აკრედიტირებულ უცხო ქვეყნის დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობებს“ აგრეთვე „საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებები განცხადებას ტენდერის ჩატარების შესახებ აქვეყნებენ უცხო ქვეყნების იმ პერიოდულ ან სპეციალიზირებულ გამოცემებში, რომლებიც ვრცელდება საერტაშორისო მასშტაბით, ან/და ამ დიპლომატიური დაწესებულებების ინტერნეტ-გვერდზე.“ 2006-2009 წლებში მერიის მიერ ყოველწლიურად შესყიდულია 600 ათას ლარზე მეტი ღირებულების სანათები. (2010 წელს მერიის მიერ სანათების შესყიდვა არ განხორციელებულა)

მომწოდებლები, რომლებმაც საქონელი ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენამდე შეისყიდეს:

მომწოდებელი	თანხა	რაოდენობა	ხელშეკრულების თარიღი	მიღება ჩაბარების თარიღი	შესყიდვის თარიღი (ინვოისი)
შპს "გალა"	298,000	1,000	23.08.2006	29.08.2006	26.07.2006; 31.07.2006
შპს "ლუქსი"	676,000	4,000	02.05.2008	05.05.2008(1,430); 16.05.2008(2570)	16.04.2008(1,430); 31.03.2008(2,570)
შპს "ლუქსი"	356,000	2,000	21.12.2006	25.12.2006	08.11.2006
შპს "ლუქსი"	202,800	1,200	29.12.2006	12.01.2007	07.10.2006
შპს "ლუქსი"	169,800	1,000	29.12.2006	22.01.2007	30.08.2006
შპს "ლუქსი"	834,500	3,500	23.08.2007	01.09.2007-08.10.2007	17.07.2007
შპს "ლუქსი"	298,000	2,000	23.08.2007	06.09.2007	03.08.2007
შპს "თბილქალაქგანათება"	376,694	2,435	20.07.2006	26.07.2006	
სულ	**3,211,794**	**17,135**			

შპს „გალა“

2006 წელს შპს „გალა“-სგან მერიამ შეიძინა 1,000 სანათი, საერთო თანხით 298 ათასი ლარი. ტენდერზე, რომელზეც მოხდა აღნიშნული სანათების შესყიდვა, შპს „გალა“-ს სატენდერო წინადადების ღირებულება 57,000 ლარით აღემატებოდა შპს „პროფსერვისი“-ს სატენდერო წინადადებაში დაფიქსირებულ ღირებულებას. გამარჯვებულის გამოსავლენად დადგენილი შეფასების კრიტერიუმები იყო: 1.საქონლის მიწოდების ვადა, 2.საქონლის ხარისხი, 3.საქონლის ღირებულება. სატენდერო კომისიამ საქონლის ხარისხში ორივე პრეტენდენტს ერთნაირი ქულები დაუწერა, ხოლო შპს „გალა“ გამოვლინდა გამარჯვებულად იმის გამო, რომ მან საქონლის მიწოდების ვადა 5 დღე დააფიქსირა. მერიამ 57 ათასი ლარით მეტი გადაიხადა სწორედ იმის გამო, რომ

საქონლის მიწოდება მომწოდებელმა 5 დღეში შეძლო. შპს „გალა“-ს სანათები შესყიდული ჰქონდა ტენდერის გამოცხადებამდე.

შპს „თბილქალაქგანათება“

2006 წლის ივლისის თვეში ქ.თბილისის მერიამ შპს „თბილქალაქგანათებისგან“ ტენდერის საშუალებით შეისყიდა 2,435 სანათი, საერთო თანხით 376.6 ათასი ლარი. აუდიტის შედეგად დადგინდა, რომ ჯერ კიდევ 2006 წლის თებერვლის და ივნისის თვეებში აღნიშნული სანათები „თბილქალაქგანათების“ მიერ იყო მერიისთვის მიწოდებული და შემდეგ მერიის მიერ საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებზე გადაცემული.

შპს „ევროპლანტ ჯორჯია“

2009 წელს მერიის მიერ შპს „ევროპლანტ ჯორჯია“-სთან გაფორმებული ხელშეკრულებით შესყიდული იქნა თურქული წარმოების 13.5 ათასი სანათი, საერთო თანხით 1.33 მილიონი ლარი. სანათები დაბალი ხარისხისაა და არ პასუხობდა იმ ტექნიკურ მოთხოვნებს, რა მოთხოვნებიც მერიას გააჩნდა აღნიშნულ ტენდერზე. ამის შესახებ მერია ინფორმირებული იყო ტენდერში საბოლოო გამარჯვებულის გამოვლენამდე, გერმანული სანათების წარმოებაზე სპეციალიზირებული ფირმის “Vossloh Schvabe” [9] წერილით, რომელიც მერიას ინფორმაციას აწვდიდა „ტოროსი“-ს ფირმის გაყალბებული ხარისხის სერტიფიკატების და სანათების დაბალი ხარისხის შესახებ. სანათების უხარისხობა ასევე დაადასტურა მერიაში შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ. მიუხედავად ამისა, შპს „ევროპლანტ ჯორჯია“-სთან მაინც გაფორმდა სანათების შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

[9] Vossloh schvabe წარმოადგენს მსოფლიო ლიდერ კომპანიას თანამედროვე განათების სისტემების მიწოდების სფეროში. კომპანიას გააჩნია თანამედროვე კვლევითი ლაბორატორიები, სადაც საერთაშორისო სტანდარტიზაციის ინსტიტუტებთან თანამშრომლობით ხორციელდება თანამედროვე ტექნოლოგიების ტესტირება. კომპანიას გააჩნია ფილიალები გერმანიაში,საფრანგეთში,იტალიაში და.ა.შ. იხ. www.vossloh-schvabe.com

უხარისხო სანათები ასევე ზრდის 1 სანათი წერტილის ექსპლოატაციის ღირებულებას, თუმცა, კონკრეტულად რა თანხით გაიზარდა ხარჯი და შესაბამისად, თუ რა ოდენობის ზარალი მიადგა ქ.თბილისის მერიას, დამატებითი საექსპლოატაციო ხარჯების გაწევით ვერ დასტურდება. არასათანადო აღრიცხვის გამო ერთმანეთისგან გამიჯნული არ არის, თუ კონკრეტულად რა თანხა არის საჭირო 1 სანათი წერტილის ექსპლოატაციისთვის სხვადასხვა რაიონის და ქუჩების მიხედვით. შესაბამისად, მთლიანი ხარჯის ერთმანეთისგან გამიჯვნა ცალკეული დაყენებული სანათების მიხედვით შეუძლებელია.

შპს „ნები“

2007 წელს ქ.თბილისის მერიის მიერ მოხდა სატელევიზიო ანძის განათება, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრებით. სატელევიზიო ანძის განათებისათვის საჭირო სანათების შესყიდვა განხორციელდა ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით. საქონლის მიწოდებას მერიისთვის ახორციელებს შპს „ნები“ 5.2 მილიონ ლარად.

აუდიტის შედეგად დადგინდა, რომ სხვაობა შპს „ნები“-ს მიერ გადახდილ საქონლის საბაჟო ღირებულებასა და მერიის მიერ შპს „ნებისათვის“ გადახდილ თანხას შორის დაახლოებით **2.7 მილიონი** ლარია (ფასნამატი საბაჟო ღირებულებაზე შეადგენს 107%). აღნიშნული გარემოება განსაკუთრებით გასათვალისწინებელია, რადგანაც შპს „ნები“-სგან საქონლის შესყიდვა ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით განხორციელდა და მერიას შეეძლო აღნიშნული ხელშეკრულება უშუალოდ საქონლის მწარმოებელთან გაეფორმებინა.

ქ.თბილისის მერიის საქონლის ძირითადი მიმწოდებლებისა და მომწოდებლების მიერ მიღებული ამონაგების შესახებ ინფორმაცია:

სანათების ძირითადი მომწოდებლები 2006-2010 წლებში

მომწოდებელი	დასახელება	ფაქტობრივი შესრულება	საბაჟო ღირებულება	ამონაგები	%
შპს "გალა"	სანათი	2,024,560	1,990,318	**34,242**	1.72%
შპს "ლუმენი +"		224,250	179,290	**44,960**	25.08%
შპს "ლუქსი"		6,399,100	4,940,666	**1,458,434**	29.52%
შპს "უნივერსალი"		1,630,000	1,148,166	**481,834**	41.97%
შპს "ევროპლანტი"		1,329,274	1,094,188	**235,086**	21.48%
ს.ს "ერის იმედი"		828,000	700,568	**127,432**	18.19%
სულ		**12,435,184**	**10,053,196**	**2,381,988**	23.69%
შპს "ნები"	სატ.ანძის სანათები	**5,218,929**	2,517,765	**2,701,164**	107.28%
სულ		**17,654,113**	**12,570,961**	**5,083,152**	40.44%

4.3. გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და ტექნიკური მომსახურება

ქ.თბილისის მერიის მიერ გარე განათების ქსელის ექსპლოატაციასა და ტექნიკურ მომსახურებაზე 2006-2010 წლებში გაწეულია სულ 47.1 მილიონი ლარის ხარჯი (მათ შორის ელ.ენერგიაზე 22.3 მილიონი ლარი). მომსახურების მიწოდებას ტენდერში გამარჯვების საფუძველზე ახორციელებს შპს „თბილქალაქგანათება".

ექსპლოატაციის ხარჯი 2006-2010 წლებში



გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის და ტექნიკური მომსახურების შესყიდვა არაკონკურენტულ გარემოში მიმდინარეობს შემდეგი გარემოებების გამო:

1. მომსახურების შესყიდვა ხორციელდება ერთ ლოტად;

2. პრეტენდენტი ვალდებულია ელ.ენერგიის შესყიდვა და შესაბამისად მიწოდება თავად განახორციელოს.

1. ქ.თბილისის გარე განათების ქსელის რეკონსტრუქციისა და ტექნიკური მომსახურების შესყიდვა ხორციელდება ერთ ლოტად. მოცულობის გამო მომსახურების მიწოდება საჭიროებს მოცულობით მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, რომელიც ფიზიკურად გააჩნია მხოლოდ შპს „თბილქალაქგანათება"-ს. სწორედ ამიტომ, ტენდერი პრაქტიკულად არაკონკურენტულ გარემოში მიმდინარეობს. საჭიროა მერიამ შეისწავლოს მომსახურების ლოტებად დაყოფის (კვარტლების, ქუჩების, ელ-კარადების, რაიონების და ა.შ.) შესაძლებლობა, რომელიც ხელს შეუწყობს პრეტენდენტების რაოდენობის ზრდას. აღნიშნული საკითხის მოწესრიგების შედეგად შესაძლებელია ბაზარზე სხვა მომწოდებლებიც გამოჩნდნენ, რომლებიც შეძლებენ შედარებით მცირე მოცულობის სამუშაოს შესრულებას გაცილებით ნაკლებ ფასად (1 სანათზე გაანგარიშებით).[10]

ქ.თბილისის სატელევიზიო ანძის ექსპლოატაციას და ტექნიკურ მომსახურებას (რომელიც გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის მომსახურების ხელშეკრულების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია) 2009 წელს ახორციელებდა შპს „თბილქალაქგანათება" 375.2 ათას ლარად. მომწოდებელს ქვეკონტრაქტორად აყვანილი ჰყავდა შპს „ ენერჯი სერვის ჯორჯია" და მომსახურებაში გადაუხადა 224.4 ათასი ლარი. სხვაობამ მერიის მიერ შპს „თბილქალაქგანათებისთვის" ანძის ექსპლოატაციისათვის გადახდილ თანხასა და შპს „თბილქალაქგანათების" მიერ შპს „ენერჯი სერვის ჯორჯიისთვის" გადახდილ თანხას შორის **150.8 ათასი** ლარი შეადგინა. სავარაუდოდ, სწორედ აღნიშნულ თანხას დაზოგავდა მერია მხოლოდ 2009 წელს სატელევიზიო ანძის ექსპლოატაციის მომსახურების ცალკე ლოტად გამოტანის შემთხვევაში. 2010 წელს სატელევიზიო ანძის ექსპლოატაციიის მომსახურებაში მერიამ 432.4 ათასი ლარი

---

[10] მაგ: ქ.ქუთაისში გარე განათების ქსელის ექსპლოატაციაზე, მონოპოლისტი მომწოდებლის არსებობის პირობებში 1 სანათ წერტილის მომსახურებაზე იხარჯებოდა თვეში 8 ლარზე მეტი. 2010 წელს კონკურენციის გამო 1 სანათი წერტილის ექსპლოატაციის ღირებულება თვეში 3.18 ლარამდე, 60%-ზე მეტით შემცირდა).

გადაუხადა შპს „თბილქალაქგანათება“-ს (2010 წელს მიწოდებას შპს „თბილქალაქგანათება“ ქვეკონტრაქტორის გარეშე ახორციელებს).

2. გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის და ტექნიკური მომსახურების ტენდერზე პრეტენდენტი ვალდებულია ელ.ენერგიის ღირებულება დააფიქსიროს ხარჯთაღრიცხვაში და თვითონ მოახდინოს ელ.ენერგიის შესყიდვა-მიწოდება. პოტენციური პრეტენდენტების მიერ ელ.ენერგიის რეალური საბაზრო ღირებულების განსაზღვრა და, შესაბამისად, სატენდერო დოკუმენტაციაში, მომსახურების ხარჯთაღრიცხვაში დაფიქსირება შეუძლებელია.

შპს „თბილქალაქგანათება“ ყიდულობს არასტაბილურ ელექტროენერგიას, რის გამოც ქსელში ხშირია დადგენილი ნორმისაგან გადახრები. ელ.ენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებაში არ არის დაფიქსირებული ელ.ენერგიის ხარისხი და არც შპს „თბილქალაქგანათება“ ახდენს შესაბამისი დანადგარების გამოყენებას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა ქსელში ხარისხიანი სტაბილური დენის მიწოდების უზრუნველყოფა. 2006-2010 წლებში არასტაბილური ელ.ენერგიის გამო დაახლოებით 1.2 მილიონ ლარზე [11] მეტი ღირებულების ნათურა გადაიწვა და შესაბამისად, მერიამ აღნიშნული თანხა იზარალა.

გარე განათებისთვის საჭირო ელ.ენერგიის შესყიდვას ახორციელებს შპს „თბილქალაქგანათება“, რომელიც ელ.ენერგიის საბაზრო ღირებულებას არიცხავს ზედნადებ ხარჯს და მოგებას, რის გამოც, მერია ელ.ენერგიაში იხდის საბაზრო ღირებულებაზე **1 125 ათასი** ლარით მეტს [12] (მათ შორის, დღგ 171 ათასი ლარი). ქ.თბილისის მერია 2006-2010 წლებში **1 125 ათას** ლარს დაზოგავდა ელ.ენერგიის უშუალოდ ყიდვის შემთხვევაში.

გარე განათების ქსელის ექსპლოატაციისას მომწოდებლის (შპს „თბილ-ქალაქგანათება“) მიერ არ ხდება სათანადოდ დოკუმენტაციის წარმოება, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია დადგინდეს, რეალურად გაწეული იქნა თუ არა შესაბამისი

---

[11] აღნიშნული თანხა წარმოადგენს იმ ნათურების ღირებულებას, რომელიც შესყიდული საქონლის საგარანტიო პირობებიდან გამომდინარე არ უნდა გამოცვლილიყო. არასტაბილური ძაბვის ან უხარისხობის გამო მოხდა ნათურების გადაწვა. არასტაბილური დენის გამო მერია ვერ ახდენს ნათურების მომწოდებლისაგან საგარანტიო პირობების შესრულების მოთხოვნას, რადგან არასტაბილური დენის შემთხვევაში საგარანტიო პირობები არ ექვემდებარება შესრულებას.

[12] სულ ელ.ენერგიაში 2006-2010 წლებში გადახდილია 22.3 მილიონი ლარი

ოდენობის ხარჯი, როგორც ეს მიღება-ჩაბარების (ფორმა N2) აქტებშია დაფიქსირებული. მერიის მხრიდან არ ხდება ხარჯების რეალობის შემოწმება და მათი დასაბუთების კონტროლი. მაგ.: 2009 წელს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში 1 სანათზე მასალების ხარჯი 23 ლარია, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება სხვა რაიონებში მასალების ხარჯს. ანალოგიური სიტუაციაა 2010 წელსაც, დიდუბე-ჩუღურეთში 1 სანათ წერტილზე მასალების ხარჯი 35 ლარს აღემატება, რომელიც მნიშვნელოვნად მეტია სხვა რაიონების ხარჯებზე. 2010 წელს, 2009 წელთან შედარებით მასალების ხარჯი შემცირებულია გლდანი-ნაძალადევის, ისანი-სამგორის და დიდგორის რაიონში. ხოლო სხვა რაიონებში მოხდა მასალების ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდა. მერიაში საერთოდ არ ხდება აღნიშნული ინფორმაციის შესწავლა და კონტროლი.

მასალების ხარჯი ქ.თბილისის რაიონების მიხედვით 2009-2010 წლებში

რაიონის დასახელება	2009 წელი			2010 წელი		
	ექსპლ. მყოფი სანათი	თანხა	ერთ. გაწეული ხარჯი	ექსპლ. მყოფი სანათი	თანხა	ერთ. გაწეული ხარჯი
გლდანი ნაძალადევი	16,278	217,201	13.34	22,090	286,627	12.98
დიდუბე ჩუღურეთი	4,583	106,696	23.28	5,716	200,699	35.11
ვაკე საბურთალო	17,801	183,722	10.32	19,279	250,793	13.01
ძველი თბილისი	12,046	85,573	7.10	13,126	127,286	9.70
ისანი სანგორი	20,363	146,089	7.17	23,240	159,273	6.85
დიდგორი	5,074	21,545	4.25	6,397	26,932	4.21
სულ	76,145	760,826		89,848	1,051,611	

ქ.თბილისის მერია 2006 და 2008 წლებში იანვარ-თებერვლის თვეებში გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის და ტექნიკური მომსახურების შესყიდვას ახორციელებს ერთ პირთან მოლაპარაკების გზით. წლის დანარჩენ თვეებზე მომსახურების შესყიდვა ხორციელდება ტენდერის საშუალებით. ტენდერის საშუალებით მომსახურების შესყიდვისას ერთ სანათ წერტილზე გადახდილი თანხა ნაკლებია ერთ პირთან

მოლაპარაკების საშუალებით მომსახურების შესყიდვისას გადახდილ თანხაზე. ფასთა შორის სხვაობა 192 ათას ლარს აღემატება[13].

5. მატერიალური მარაგები

ქ.თბილისის მერიის მიერ 2009 წელს შპს „ევროპლანტ ჯორჯია"-სგან შესყიდული სანათებიდან 736 სანათის (94 ათასი ლარის ღირებულების) დამონტაჟება არ ფიქსირდება და არც მერიის კუთვნილ საწყობში არ არის[14]. 736 სანათებიდან 650 ცალი მერიის კუთვნილი საწყობიდან მიღებული აქვს შპს „ჯი-ემ-ჯი 2009"-ს სამუშაოების განსახორციელებლად, ხოლო დამონტაჟებული არ აქვს. 2010 წლის 7 დეკემბერს ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსმა წერილობით მოსთხოვა შპს „ჯი-ემ-ჯი 2009"-ს დირექტორს გაუხარჯავი სანათების მერიისთვის დაბრუნება. მომწოდებლის მიერ სანათების მერიისთვის დაბრუნება არ ფიქსირდება. ქ.თბილისის მერიის მიერ მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი ღონისძიებები არ განხორციელებეულა.

6. ქ.თბილისის გარე განათების ტექნიკური მხარე

„განათების საერთაშორისო კომისიის" მიერ (CIE) შემუშავებულია გარე განათებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სტანდარტები. აღნიშნული ნორმები აღიარებულია მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების მიერ და მას მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი აქვს, თუმცა ის წარმოადგენს კვლევის შედეგებზე, პრაქტიკაზე დაყრდნობით მიღებულ

---

[13] 2008 წელს ე.პ.მ გზით მომსახურების შესყიდვისას 1 სანათი წერტილის ექსპლოატაციის ღირებულება ასევე მეტია 2007 წელს ტენდერის საშუალებით მომსახურების შესყიდვის ღირებულებაზე.

[14] მხოლოდ ერთ შემთხვევაშია ბუღალტრულად აღრიცხული სანათების მოძრაობა. სხვა შემთხვევებში განხორციელებული ოპერაციები ბუღალტრულად აღრიცხული არ არის და შესაბამისად ვერ ხერხდება დადგინდეს თუ შესყიდული სანათებიდან ზუსტად რამდენი არის დამონტაჟებული. აუდიტის ჯგუფის მიერ დამოუკიდებელი აუდიტორული პროცედურის განხორციელება, რომელიც მოიცავს დამონტაჟებული სანათების ფიზიკურ გადათვლას ვერ განხორციელდა სანათი წერტილების დიდი რაოდენობის გამო. 2006-2010 წლებში შესყიდულია 81.7 ათასი სანათი

ნორმებს, რომლის დაცვის შემთხვევაში მიიღწევა უსაფრთხოებისა და განათების ოპტიმალური ხარისხი.

აუდიტის ჯგუფის მიერ სპეციალური ხელსაწყოების საშუალებით მოხდა ქალაქ თბილისის განათების შესწავლა. განისაზღვრა განათების დონე, განათების თანაბრობა, უსაფრთხოება და მათი შედარება CIE რეკომენდაციებთან.

გარე განათების დონესთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ მთლიანობაში თბილისის ქუჩები უფრო მეტად განათებულია, ვიდრე ეს რეკომენდებულია „განათების საერთაშორისო კომისიის" მიერ. ერთმანეთისგან გამიჯნული არ არის სხვადასხვა კატეგორიის გზების განათება. ხშირ შემთხვევებში მეორეხარისხოვანი და შიდაკვარტალური ქუჩები უფრო მეტად განათებულია, ვიდრე ცენტრალური ქუჩები. საავტომობილო გზები, რომლებზეც ღამის საათებში მოძრაობა პრაქტიკულად არ არის, 2-ჯერ უფრო მეტადაა განათებული, ვიდრე სხვა ცენტრალური ქუჩები. მთლიანობაში ქ.თბილისის მასშტაბით დარღვეულია ის ლოგიკური და საჭირო განსხვავებები, რომლებიც უნდა იყოს ცენტრალურ, მეორეხარისხოვან და შიდაკვარტალურ ქუჩებზე.

განათების თანაბრობასთან დაკავშირებით, არსებობს გარკვეული პრობლემები, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, არასათანადო კონტროლითაა გამოწვეული. აუდიტის შედეგად დადგინდა, რომ მნიშვნელოვანი განსხვავებაა სანათი წერტილის ბოძებს შორის მანძილის თვალსაზრისით, რის გამოც, ქუჩების უმრავლესობა არათანაბრადაა განათებული. ეს რეკონსტრუქციის და ქსელის მოწყობის დროს არასათანადო კონტროლითაა გამოწვეული. ბოძებს შორის მანძილი ერთიდაიგივე ქუჩაზე ხშირ შემთხევვაში 5 და 10 მეტრითაც კი განსხვავდება ერთმანეთისგან. თანაბარი დაშორება კი თანაბარი განათების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. სწორედ ამიტომ, ქუჩების უმრავლესობაზე განათება არათანაბარია, ხშირ შემთხვევებში ადგილი აქვს შუქ-ჩრდილებს.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უფროსი აუდიტორი: მურმან დარახველიძე	ხელმოწერა	თარიღი 7.06.2013
წამყვანი აუდიტორი: გიორგი ბერუჩაშვილი	ხელმოწერა	თარიღი 7.06.2013
აუდიტორ–ასისტენტი: ბესიკ ჩიხლაძე	ხელმოწერა	თარიღი
აუდიტორ–ასისტენტი: სერგო სანიკიძე	ხელმოწერა	თარიღი
აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე: გიორგი მამრიკიშვილი	ხელმოწერა	07.06.2013 თარიღი